



საქართველოს მთავრობის განკარგულება

№807 2015 წლის 20 აპრილი ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, კოსტავას ქ. №43-ში მდებარე ობიექტისათვის
კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მოხსნის შესახებ

„კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17
მუხლის შესაბამისად:

1. ქალაქ თბილისში, კოსტავას ქ. №43-ში (ფაქტობრივი მისამართი:
კოსტავას ქ. №43ა, ჟორდანიას ინსტიტუტის მიმდებარედ არსებული ყოფილი
ლაბორატორიის შენობა №3, ს/კ: 01.15.03.010.073, ძეგლის სააღრიცხვო ბარათი
№010105364) მდებარე და ამჟამად უკვე დემონტირებულ ობიექტს მოეხსნას
კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი.

2. დაევალოს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის
სამინისტროს, ამ განკარგულების ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში,
კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სახელმწიფო რეესტრში და
სამინისტროს ინტერნეტგვერდზე შესაბამისი მონაცემების ასახვა.

3. განკარგულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

ი.



ირაკლი ღარიბაშვილი



საქართველოს კულტურისა
და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
ტელ.: 2 98 74 30



070144978195215

შემოსვლის № 9377
"22" 04 2015წ.
საქართველოს კულტურისა და
ძეგლთა დაცვის სამინისტრო